პროლეტარიელებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 95 (1265) ○ კვირა, 10 აგვისტო, 1958 წ. ○ გამოცემის მე-15 წელი. ○ ფასი 30 კაპ.

მშენებლის დღე

ჩვენში არც თუ ისე დიდი ხანია ტრადიციად იქცა მშენებლის საკავშირო დღის საზეიმოდ აღნიშვნა. ეს ღირსშესანიშნავი თარიღი იმითაა სასიხარულო, რომ მშენებლის დღის საკავშირო ზეიმად დაწესებას საფუძვლად დაედო ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის საექსპლოატაციოდ გადაცემა, სადაც მოეწყო სსრ კავშირის ხალხთა პირველი სპარტაკიადა.

მომდინარე წლის მშენებლის საკავშირო დღე დაემთხვა იმ ღირსსახსოვარ თარიღს, როცა ჩვენი ქვეყანა მტკიცედ იბრძვის მთელს მსოფლიოში მშვიდობის საქმის მოწესრიგებისათვის, სასტიკ პროტესტს აცხადებს ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტების ვერაგული ზრახვების წინააღმდეგ, რომელთა მიზანია არაბთა ქვეყნებას სუვერენიტეტის შელახვა, მილიონობით ადამიანთა სიღატაკე და უბედურება. საბჭოთა სახელმწიფო გამოდის თავისი წინადადებით — შეწყდეს აგრესორთა ინტერვენცია არაბთა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ.

მილიონობით საბჭოთა ადამიანს მტკიცედ სწამს, რომ მშვიდობა გაიმარჯვებს ომზე, ინტერვენტთა ვერაგული ზრახვები განწირულია დასაღუპავად.

განა დაივიწყებს ჩვენი ახალგაზრდობა ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სახელოვან მშენებლებს, რომლებმაც ვადამდე ადრე მწყობრში ჩააყენეს შესანიშნავი სპორტული ბაზა, რომელიც ერთ-ერთი უმშვენიერესია მთელს მსოფლიოში? განა შეიძლება მადლობით გრძნობით არ მოიხსენიო ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების მშენებლები, რომელთა დაუღალავი შრომით ათასობით ახალგაზრდას საშუალება ეძლევა სისტემატურად იმეცადინოს ფიზკულტურასა და სპორტში, ამრავლოს ჩვენი სამშობლოს სპორტული მიღწევები.

როგორი სიხარულით შეხვდა რესპუბლიკის ახალგაზრდობა ცნობას ქალაქ ჭიათურაში შესანიშნავი კალათბურთის მოედნის გახსნის შესახებ, სადაც შეიძლება მოეწყოს დიდი მასშტაბის შეჯიბრებები. მწყობრში ჩადგა ორთაჭალიხესის საწყალოსნო აუზი, მალე საექსპლოატაციოდ გადაეცემა თბილისის სადემონსტრაციო სპორტდარბაზი.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად ბევრი სპორტული ობიექტია მშენებლობის პროცესში. საჭიროა მათი დროულად დამთავრება. ამით ჩვენ ხელს შევუწყობთ საქართველოს სპარტაკიადის მაღალ დონეზე ჩატარებას, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდების წარმატებით გამოსვლას.

დიდება საბჭოთა მშენებლებს, ჩვენი ადამიანების კეთილდღეობისათვის მებრძოლ მგზნებარე პატრიოტებს!





ახალი საჭიდაო დარბაზი

ამ ორიოდე წლის წინ კასპში საფუძველი ჩაეყარა საჭიდაო დარბაზის მშენებლობას. ამ ამბავს დიდი სიხარულით შეეგებნენ კასპელი ახალგაზრდები. ისინი მშენებლებთან ერთად გამოდიოდნენ ყოველ კვირა დღეს და ეხმარებოდნენ მათ. მშენებლობა საერთო საქმედ იქცა.

საკმარისია გავიხსენოთ მშენებლობის უკანასკნელი დღეები. აქ ყოველდღიურად ასამდე კომკავშირელი შრომობდა. ვაუების მხარდამხარ შრომის ფერხულში იდგნენ კომკავშირელი გოგონებიც — მ. მერაბაშვილი, მ. დალაქიშვილი, ნ. ქართველიშვილი, ვ. დალაქიშვილი და სხვები. მშენებლობაში თავიანთი წვლილი შეიტანეს კასპის ცემენტის ქარხნის მუშა-ახალგაზრდებმა, კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეებმა, საქართველოში ცნობილმა მოჭიდაველებმა: ა. კიტრიაშვილმა, ლ. კაციაშვილმა, ო. ჭონიაშვილმა, გ. მარიამიძემ, ს. ბახტაძემ, გ. ნავროზაშვილმა და სხვებმა.

იშრომეს და მიზანსაც მიაღწიეს: მათ ახლა აქვთ კარგი, კეთილმოწყობილი საჭიდაო დარბაზი, იქვე შენდება სპორტული დარბაზი.

გუშინ საღამოს მოხდა კასპის ახალი საჭიდაო დარბაზის საზეიმო გახსნა, რომელსაც დასწრო კასპის რაიონის მშრომელი მოსახლეობა, სტუმრები თბილისიდან, გორიდან, ხაშურიდან და სხვა ქალაქებიდან.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ დაიწყო პირველი შეჯიბრება: ქართლის რაიონების ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში.

კ. ამაშუკელი



სურათზე კასპის ახალი საჭიდაო დარბაზი, მარჯვნივ დარბაზის შიდა ხედი.

ფოტო გ. მალაციძისა.

ლაპარაკობენ ჩვენი სტუმრები

ა. გუსევი

მოსკოვის დელეგაციის წარმომადგენელი

სანამ ლაპარაკს დავიწყებდეთ მომავალი სპარტაკიადის შესახებ და ჩვენი გუნდის პერსპექტივებზე, მინდა გამოვთქვა პირადად ჩემი, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის დელეგაციისა და, ვფიქრობ, ყველა სხვა დანარჩენთა აზრიც — თბილისელებმა მოგვიწყეს შესანიშნავი, გულთბილი შეხვედრა. სტუმრების ასეთი მიღება, ასეთი სიყვარული და სითბო საუცხოოდ ამშვენებს საქართველოს დედაქალაქს თავისი 1.500 წლისთავის საიუბილეო ზეიმზე.

მოსკოველთა გუნდი ყველაზე მეტ „გასაჭირშია“: IV სპარტაკიადაზე ჩვენ დავიკავეთ საერთო პირველი ადგილი და, მოგეხსენებათ, ჩემპიონის წინააღმდეგ ყველა განსაკუთრებული მონდომებითა და ენერგიით იბრძვის. მაგრამ ეს, რასაკვირველია, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ გვსურს კვლავ პირველი ადგილის დაკავება.

მოსკოვის გუნდები სხვადასხვა სახეობათა მიხედვით კარგა ხანია დაკომპლექტებულია და წვრთნას გადიან გამოცდილ მწვრთნელთა ხელმძღვანელობით. ჩვენი დელეგაციის შემადგენლობაში ორი სპორტის ოსტატია, მათ შორის ა. დიმიტრიევა სულ ახლახან მონაწილეობდა ჩოგბურთელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში, რომელიც ინგლისში მიმდინარეობდა.

მიუხედავად იმისა, რომ შარშან ჩვენ პირველი ადგილი დავიკავეთ, უკმაყოფილონი ვიყავით მთელ რიგ სახეობაში ნაჩვენები დაბალი შედეგებით. წელს განზრახული გვაქვს კვლავ გამოვიდეთ პირველ ადგილზე, მაგრამ უკვე ისე, რომ გამოვასწოროთ გასული წლის ზოგიერთი ნაკლოვანება.

ვსარგებლობ შემთხვევით და გულითად მადლობას ვუძღვნი ჩვენს შეფებს — თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მთელს კოლექტივს.

✦

მ. ელიგუდაშვილი

უკრაინის დელეგაციის წარმომადგენელი

მოსწავლეთა წლევანდელ საკავშირო სპარტაკიადაზე უკრაინა წარმოდგენილია საკმაოდ ძლიერი კოლექტივით—მის შემადგენლობაშია 4 სპორტის ოსტატი და 73 პირველთანრიგოსანი.

მაღალ სპორტულ შედეგებს ველით მძლეოსან ა. დეგტიარისაგან (თარჯრბენი 200 მეტრზე), მოცურავე ლ. დემიანოვსკაიასაგან (400 მეტრი თავისუფალი სტილით). კარგი შედეგები გვაქვს მძლეოსან მხტომელთა შორის, სადაც ჭაბუკები სტაბილურად იღებენ 185-190 სმ, ხოლო გოგონები — 155-160 სანტიმეტრს. კარგ ფორმაში არიან სხვა გუნდებიც.

უკრაინელ ნორჩ სპორტსმენებს საკავშირო შეჯიბრებებში მონაწილეობის კარგი ტრადიციები აქვთ. მათ ერთხელ დაიკავეს მესამე ადგილი, ორჯერ — მეორე და ერთხელ საერთო გუნდური ჩემპიონობაც კი მოიპოვეს. ახლა ჩვენს წინაშე რთული, მაგრამ მეტად საპატიო ამოცანა დგას:

გვინდა ვიბრძოლოთ პირველი ადგილისათვის.

✦

ი. მურთაზინი

უზბეკეთის დელეგაციის წარმომადგენელი

საქართველოს დედაქალაქი მზიანი დღეებით შეგვხვდა. ძლიერ გვესიამოვნა, როცა ჩვენი დელეგაციისათვის საცხოვრებლად განკუთვნილი სახლის შესასვლელთან შევხვდით წარწერას უზბეკურ ენაზე: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“. იგი გაეკეთებინა ჩვენს შეფს — შამპანური ღვინის ქარხანას. ეს, და ბევრი სხვა, რითაც მოგვიგეს გული თბილისელებმა, მეტყველებს სპარტაკიადის ორგანიზატორთა დიდი ყურადღებისა და მზრუნველობის შესახებ.

ჩვენი დელეგაცია გულმოდგინედ ემზადებოდა V სპარტაკიადისათვის. მრავალრიცხოვან შეჯიბრებათა მეოხებით გამოვავლინეთ ძლიერნი და გუნდებიც სათანადოდ დავაკომპლექტეთ. გვყავს კალათბურთელ გოგონათა კარგი კოლექტივი, ტანვარჯიშში ოთხი მოსწავლე გამოვა ოსტატის პროგრამით, ხოლო ყველა დანარჩენი — პირველ თანრიგში. ნიჩბოსნობა თუმცა ჩვენში არაა მასობრივი, მაგრამ გუნდი შარშანდელთან შედარებით უფრო ბეჯითი, ენერგიული სპორტსმენებითაა შედგენილი.

დელეგაციის წევრებმა დიდი მუშაობა გასწიეს მოსამზადებელ პერიოდში. მრავალი მათგანი მონაწილეობდა სხვადასხვა შეჯიბრებაშიც. მაგალითად, ჩოგბურთელებმა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავეს, ტანმოვარჯიშეები გამოდიოდნენ კიევში, ხოლო მოცურავეები მონაწილეობდნენ „სპარტაკის“ საკავშირო პირველობაზე მინსკში.

რომელ ადგილზე გავოვალთ? ამაზე ძნელია პასუხის გაცემა. შარშან მე-17 ადგილი დავიკავეთ, წელს ოდნავაც რომ წინ წავიწიოთ, წარმატებად ჩავთვლით.

✦

გ. ჯარაგეთი

თურქმენეთის დელეგაციის ხელმძღვანელი

არ შეიძლება ითქვას რომ ჩვენი სპორტული დელეგაცია სუსტი შემადგენლობით ჩამოვიდა. მაგალითად, ტანმოვარჯიშეები, მოცურავეები, მსროლელები პირველ თანრიგში გამოვლენ. ახლახან აშხაბადში დამთავრებულმა მოსწავლეთა XV რესპუბლიკურმა სპარტაკიადამ ცხადყო, რომ ჩვენს სპორტსმენებს ძალუძთ უკეთესი მაჩვენებლების მიღწევა, ვიდრე შარშან რიგაში.

ჩვენ დიდ იმედებს ვამყარებთ ფრენბურთელ გოგონებზე, რომლებიც შუა აზიის რესპუბლიკათა გარდამავალი თასის მფლობელნი არიან. ძლიერ კოლექტივს წარმოადგენს კალათბურთელ ვაჟთა გუნდიც, რომელიც კარგადაა შეთამაშებული. მაგრამ გუნდი მოხვდა სპარტაკიადის ისეთ ძლიერ ჯგუფში, რომ ალბათ გაუჭირდება ბრძოლა ფინალში გასვლისათვის.

კარგი მონაცემები აქვთ ჩვენს ტანმოვარჯიშეებს. IV სპარტაკიადაზე ჩვენ მე-13 ადგილზე გამოვედით, მაგრამ მაშინ იგი გვაკმაყოფილებდა, რადგან სპორტის ზოგიერთ სახეობაში მართლაც ძალზე სუსტად გამოვიყურებოდით. მის შემდეგ ბევრი ვიმუშავეთ და ახლა ვფიქრობთ საერთო შედეგის გაუმჯობესებაზე.

დასასრულს არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ თბილისში უაღრესად გულთბილად და ძმურად მიგვიღეს,

მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადა

პირველი დღეები

ჩოგბურთი



მოსწავლეთა 1958 წლის საკავშირო სპარტაკიადის დაწყების საპატიო უფლება ჩოგბურთელებს ხვდა წილად. უკვე სამი დღეა თბილისის საჩოგბურთო კორტებზე დილიდან დაღამებამდე გაისმის მოძმე რესპუბლიკათა ენებზე მოლაპარაკე ნორჩ სპორტსმენთა ცხარე კამათი მომავალი ბრძოლების შესახებ.

ჩოგბურთელთა შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები დაყოფილი არიან 5 ქვეჯგუფად. პირველ ორ ადგილზე გამოსული კოლექტივები შექმნიან ფინალურ ჯგუფს, სადაც ბრძოლა იწარმოებს უძლიერესის გამოსავლინებლად.

გოგონათა შორის პირველ ქვეჯგუფში ლიდერობს ესტონეთის ძლიერი გუნდი, რომელსაც ორი შეხვედრიდან ორი მოგება აქვს. დანარჩენ ქვეჯგუფებში წინ არიან საქართველოს ჩოგბურთელები, რომლებმაც დაამარცხეს რუსეთის ფედერაციისა (5:2) და აზერბაიჯანის (6:1) გუნდები, აგრეთვე ლიტველი გოგონები, რომლებმაც მოუგეს ლენინგრადისა და ტაჯიკეთის გუნდებს და მოსკოველები, რომლებსაც ორი გამარჯვება აქვთ ბელორუსიისა და უზბეკეთის კოლექტივებთან. მეხუთე ქვეჯგუფში მონაწილეობს 3 გუნდი. აქ პირველი ადგილი უკვე დაიკავეს უკრაინელებმა. მეორე ფინალისტს გამოავლენს სომხეთისა და გზათა მიმოსვლის სამინისტროს გუნდების შეხვედრა.

წარმატებით გამოდის შეჯიბრებაში ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა გუნდიც, რომელმაც ერთნაირი ანგარიშით — 7:0 დაამარცხა რუსეთის ფედერაციისა და აზერბაიჯანის გუნდები. თავიანთ ქვეჯგუფებში ლიდერობენ აგრეთვე უკრაინის, მოსკოვის, ესტონეთისა და ლატვიის გუნდები.





სურათებზე: — ჩოგბურთში შეჯიბრების მონაწილენი. მარცხნივ თბილისელი ვ. გოგლიძე, მარჯვნივ ლიტველი ი. კარპავიჩუსი. ქვევით — თბილისის კიროვის სახელობის პარკის კალათბურთის სტადიონს კიდევ ერთი მოედანი მოემატა, რომელიც 2000-ზე მეტ მაყურებელს დაიტევს. ამ მოედანს V სპარტაკიადის მონაწილენი გახსნიან.

ინდივიდუალურ შეხვედრებში საქართველოს გუნდიდან წარმატება ხვდათ წილად დედიაშვილს, აბჟანდაძეს, ელჩანინოვას, ნოვოსელცოვას, მძინარიშვილს, გოგლიძეს და სხვ.

ა. ბარნოვი

ფინალის მონაწილენი გამოვლინდნენ

ზემო ხოდაშნის (ახმეტის რაიონი) საკოლმეურნეო ცირკში 3 დღე მიმდინარეობდა „კოლმეურნის“ რესპუბლიკური პირველობის ზონალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში. მონაწილეობდნენ თელავის, საგარეჯოს, ლაგოდეხის, ახმეტის, წითელწყაროს, სიღნაღისა და გურჯაანის გუნდები.

შეჯიბრების პირველივე დღეებიდან ახმეტელმა მოჭიდავეებმა შეხვედრათა უმრავლესობა სუფთა მოგებებით დაამთავრეს და გუნდმა 13 საჯარიმო ქულით პირველი საპრიზო ადგილი დაიკავა. მეორე ადგილი წილად ხვდა ლაგოდეხის, ხოლო მესამე — სიღნაღის გუნდს.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გამოვიდნენ შ. კირვალიძე (წითელწყარო), ი. ხელაშვილი (ლაგოდეხი), ლ. ბულკაშვილი (ახმეტა), ვ. გაროზაშვილი (წითელწყარო), ვ. ფეტვიაშვილი (თელავი), ლ. მაისურაძე, ბ. თედეევი, რ. გაურგაშვილი (სამივე ახმეტიდან). ზონალურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდები და ცალკეული მოჭიდავეები მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც აგვისტოს ბოლოს მოეწყობა.

ვ. უუშიტაშვილი

რესპუბლიკურ კომიტეტში

ამას წინათ ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში განიხილეს მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადისათვის ბაზების მზადყოფნის საკითხი.

გამოირკვა, რომ ჩოგბურთის ორი კორტი ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტულ ბაზაზე არ იყო მზად სპორტსმენთა მისაღებად. ამასთან ინსტიტუტის ტერიტორიაზე სუფევდა უწესრიგობა და უსუფთაობა. ამის გამო ფიზკულტურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეს ადმინისტრაციულ-სამნეო დარგში ამხ. სტურუას გამოეცხადა სასტიკი საყვედური.

ლელო

მე-2 გვ. № 95 (1265)

მოსწავლე მოჭიდაკეთა საკავშირო პირველობა

ლენინგრადში გრძელდება მოსწავლე მოჭიდაკეთა საკავშირო გუნდური შეჯიბრება. მესამე ტურში საქართველოს წარგზავნილებმა ლიტვის გუნდს მოუგეს ექვსი პარტია და ამდენივე დაუმთავრებელი დარჩათ. ესტონელები უგებენ მატჩს უზბეკებს — 7,5:1,5 (სამი დაუმთავრებელი პარტია), ლენინგრადელები — აზერბაიჯანელებს — 8:2 (ორი დაუმთავრებელი პარტია), მოსკოვის გუნდი უპირატესობას ინარჩუნებს უკრაინასთან — 3,5:2,5 (ექვსი გადადებული პარტია) და ლატვია — რსფსრ-სთან — 5:4 (სამი დააუმთავრებელი პარტია).

მეოთხე ტურში საქართველოს მოჭიდაკეები შეხვდნენ უკრაინის ძლიერ კოლექტივს. მათ წააგეს ხუთი პარტია და ერთი ყაიმით დაამთავრეს. ექვსი პარტია არ დამთავრებულა. დანარჩენი შეხვედრები ასეთი ანგარიშითაა შეწყვეტილი: ლენინგრადი-ესტონეთი — 4,5:0,5, მოსკოვი-ლატვია — 4,5:3,5, ლიტვა-უზბეკეთი — 5,5:4,5, რსფსრ-აზერბაიჯანი — 6,5:1,5.

ოთხი ტურის შემდეგ წინ არიან შემდეგი გუნდები: მოსკოვი — 29 ქულა და ხუთი გადადებული პარტია, უკრაინა — 27,5 ქულა და რვა გადადებული პარტია, საქართველო — 25 ქულა და ცხრა გადადებული პარტია.



3. ხელმძღვანელობის დახმარება სტიმულს იძლევა

მოგითხრობთ მოწინავეთა გამოცდილების შესახებ

ხელმძღვანელობის ყურადღება და დახმარება საქმეს აადვილებს — ეს ფარცხანაყანევის ფიზკულტურელთა წარმატების მეორე „საიდუმლოებაა“. მათ მჭიდრო კავშირი აქვთ რაიონის ცენტრის ფიზკულტურულ ცხოვრებასთან. თავის მხრივ, ფიზკულტურისა და სპორტის რაიონულ კომიტეტშიც და „კოლმეურნის“ რაისაბჭოშიც სათანადოდ აფასებენ ფარცხანაყანეველი კოლმეურნეების ენთუზიაზმს და მზადყოფნას — არავის ჩამორჩნენ ფიზკულტურულ მოძრაობაში, ყოველნაირად უწყობენ ხელს ამ მისწრაფებას.

შ. კინწურაშვილი ჯერ კიდევ ადრევე იყო დაკავშირებული ფარცხანაყანევის ფიზკულტურულ ცხოვრებასთან. „კოლმეურნის“ რაისაბჭოს თავმჯდომარემ განსაკუთრებული ყურადღება ნიშნოსანთა მომზადებას მიაქცია და რ. ბერიძესთან ერთად სისტემატურად ხელმძღვანელობდა, კონტროლს უწევდა ამ საქმეს. როგორც ვიცით მშთ კომპლექსი შეიცავს მძლეოსნობის რიგ სახეობებს — რბენას, სიგრძეზე ხტომას და ა. შ. და აი, ამ შეჯიბრებათა დროს სოფლის ახალგაზრდებმა მძლეოსნური სპორტის „მარილი“ იგემეს და ამ სახეობაში სისტემატური მეცადინეობაც მოინდომეს.

ძირეული კოლექტივის თავმჯდომარეს „ულტიმატუმით“ მიადგნენ მ. ფხაკაძე, დ. კიკვაძე და ნ. ლაღაძე:

— ყველა ფრენბურთელი ხომ არ გავხდებით?! დაგვეხმარე მძლეოსნობის სექციის შექმნაში...

მეორე დღეს ასეთივე დიალოგი განმეორდა „კოლმეურნის“ რაისაბჭოში:

— სულ ფრენბურთელები ხომ არ გამოვლენ შეჯიბრებებზე? ჩამოვაყალიბოთ მძლეოსნობის სექცია, მოგვაშველე კაცი, მოგვეცი ინვენტარი, — ეუბნებოდნენ შ. კინწურაშვილს ახალგაზრდები.

რაისაბჭოში სიხარულით მიიღეს ფარცხანაყანეველთა ინიციატივა და დახმარებაც გაუწიეს. ახლა სოფელს რამდენიმე თანრიგოსანი მძლეოსანი ჰყავს და სექციაც სისტემატურად, ნაყოფიერად მუშაობს.

სწორედ ამ ამბის შემდეგ დამყარდა მჭიდრო კონტაქტი რაიონულ ცენტრსა და ფარცხანაყანევს შორის და ამის შედეგი იყო ამბავი სოფლად კიდევ ერთი — ჭიდაობის სექციის ჩამოყალიბების დაწყების შესახებ.

შემდგომაც, მეგობრული და საქმიანი კონტაქტის ამ გზამ წყალტუბოს სპორტული ცხოვრების არა ერთი სიახლე ჩამოიტანა ფარცხანაყანევში. აი, თუნდაც კალათბურთის „ეპიდემიის“ გავრცელების ამბავი: წყალტუბოში სამუშაოდ ჩამოვიდა ეკონომისტი გ. ბახტაძე, რომელიც სტუდენტობის წლებში თბილისის უნივერსიტეტის კალათბურთელთა გუნდში თამაშობდა. კალათბურთის სიყვარული მისგან მალე „გადაედოთ“ წყალტუბოელ ახალგაზრდებს, ხოლო გ. ბახტაძის მიერ მომზადებული გუნდის წარმატებებმა (რესპუბლიკური მასშტაბითაც კი) მალე მოუხვეჭეს სპორტის ამ სახეობას პოპულარობა და მან სულ მალე ფარცხანაყანევშიც ჩააღწია. დღეს ფარცხანაყანევის კოლმეურნე კალათბურთელთა გუნდი უძლიერესია რაიონში თანაკლუბელთა შორის.

რაკი სიტყვამ მოიტანა, აქვე აღვნიშნავთ ფარცხანაყანევში ფიზკულტურული მუშაობის წარმატებათა კიდევ ერთ მიზეზს: აქაც, ისევე როგორც რაიონულ ცენტრში, ქმედითად, უნარიანად იყენებენ საზოგადოებრივი აქტივის, სპორტული კადრების ინდივიდუალურ შესაძლებლობებს.

1957 წელს ფარცხანაყანევში დაბრუნდა დემობილიზებული გ. ციბაძე. ნაცნობ-ამხანაგებთან საუბარში რ. ბერიძე თავის საყვარელ თემასაც გადაწვდა:

— სპორტს თუ მისდევდი იქ, გივი? — ჰკითხა ციბაძეს.

— როგორ არა, მივდევდი და ასე... შენ წარმოიდგინე, მეორე თანრიგი მაქვს ძალოსნობაში!

რევაზმა ყურები ცქვიტა.

— მართალს ამბობ?

— აბა ტყუილისათვის რა მრჯის.

— თუ ასეა, მე და შენ საფუძვლიანი ლაპარაკი გველის...

და ამ „საფუძვლიან ლაპარაკს“ მოყვა კოლმეურნე ძალოსანთა გუნდის შექმნა. ცალკეულ სპორტსმენთა ინდივიდუალურ შესაძლებლობათა და დაინტერესების სწორი გამოყენების მეოხებითაა, რომ ქართული ჭიდაობის, სასროლო სპორტის, ლელობურთისა და სხვა სექციების საქმიანობა ენთუზიასტ და საქმის მცოდნე ხელმძღვანელთა მეოხებით წარმატებითაა გაშლილი.

შ. ჯუღელი

(დასასრული იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ № 93, 94.

ლიდი ომის ლესაწყისი

მსოფლიო ჩემპიონატი უკვე კარზე იყო მომდგარი, ქვემძიმე წონაში კი ვერ იქნა და ვერ დადგინდა ბუდაპეშტში წასვლის პრეტენდენტი. ტკაჩოვი, დიდი გამოცდილების მქონე ათლეტი დიდხანს მთავარ კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ უკანასკნელ საწვრთნელ ვარჯიშებზე მისი პოზიციები შეირყა ახალგაზრდა, მზარდი მოჭიდავის, როსტომ აბაშიძის „წყალობით“. ტკაჩოვი და აბაშიძე რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს ვარჯიშზე და მსაჯებს ყოველი მათი ბრძოლა საყაიმოდ მიაჩნდათ. იყო კიდევ ერთი კანდიდატი ქვემძიმე წონაში, ერევნელი ქოჩარიანი, მაგრამ მან ყოველგვარი შანსი და იმედი დაკარგა, როცა ზედიზედ წააგო საკონტროლო შეხვედრები ჯერ ტკაჩოვთან, შემდეგ კი აბაშიძესთან.

ტკაჩოვს ბევრი რამ უნახავს, ბევრი უჭიდავია და, როგორც ცნობილია, უმეტესად გამარჯვებული გამოდიოდა საკმაოდ რთულ მდგომარეობიდანაც კი. აბაშიძეს გამოცდილება ნაკლები ჰქონდა, სამაგიეროდ, მის მხარეს იყო ახალგაზრდული ძალა, უტეხი ენერგია და სითამამე. აბაშიძეს წინ ჰქონდა ბრწყინვალე პერსპექტივები და მწვრთნელებმა არჩევანი მასზე შეაჩერეს. მაგრამ ეს იყო ჯერ მხოლოდ არაოფიციალური გადაწყვეტილება — სპორტსმენებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ და ამიტომ მდგომარეობას გაურკვევლად თვლიდნენ.

ყველაფერი ნათელი გახდა მას შემდეგ, რაც როსტომ აბაშიძე უკანასკნელ ვარჯიშებზე ვაუკაცურად შეება მძიმე წონის მოჭიდავეებს ნიკოლაევსა და ბოგდანს და როდესაც მწვრთნელთა საბჭომ ნაკრები გუნდის წევრთა საბოლოო სია გამოაცხადა, აბაშიძის გვარს როგორც ღირსეულსა და სამართლიანს შეხვდნენ. გადაწყდა — როსტომ აბაშიძე დაიცავდა ჩვენი გუნდის ღირსებას ქვემძიმე წონაში ბუდაპეშტის მსოფლიო ჩემპიონატში. ამხანაგებმა გახარებულ როსტომს მიულოცეს პირველი გამარჯვება და წარმატება უსურვეს შემდგომშიც.

და აი როსტომ აბაშიძე, პირველად თავის სიცოცხლეში, მოხვდა მსოფლიო ჩემპიონატის ხმაურიან და საქმიან ატმოსფეროში. ბუდაპეშტში ჩასვლისთანავე ჩვენი გუნდი საერთო ყურადღების ცენტრში მოექცა. კორესპონდენტებს, სპეციალისტებს, ჰიდაობის მოყვარულებს აინტერესებდათ ყველაფერი, რაც გუნდსა და მის წევრებს ეხებოდა. როგორც ყოველთვის, ჟურნალისტებმა სამოქმედოდ ყველაზე საპასუხისმგებლო უბანი აირჩიეს — სენსაციების სფერო. მათ მახვილ თვალს არაფერი რჩებოდა. სპეციალისტების საზრუნავი უფრო პრაქტიკულ მხარეს ეხებოდა: როგორ ფორმაშია სამი ჩემპიონატის ფავორიტი გივი კარტოზია? შეძლებს თუ არა ბორის გურევიჩი დაკარგული დიდების აღდგენას? რას იტყვიან ახალი გვარები: აბაშიძე და ბოგდანი და სხვა კიდევ მრავალი. ჰიდაობის მოყვარულები ანალიზს უკეთებდნენ პრესისა და სპეციალისტების აზრებს, შეხედულებებს და შემდეგ უკვე ყალიბდებოდა ერთი საერთო დასკვნა მოჭიდავეზე, გუნდზე.

„როსტომ აბაშიძე, — ახალგაზრდა საბჭოთა ჩემპიონი, მოურიდებელი, უშიშარი და აზარტული მებრძოლია“ — წერდნენ უნგრული გაზეთები. როსტომის თვისებები ჩვენც კარგად ვიცით, მაგრამ სასიამოვნოა, როცა უცხოელი იგონებს მას ყველა თავის დეტალებში... მოსკოვის ფესტივალის დღეებში როსტომ აბაშიძე ავად გახდა. საექიმო კომისიამ მას აუკრძალა შეჯიბრებაში გამოსვლა, მდგომარეობა საკმაოდ სერიოზული იყო, მაგრამ როსტომის დაუდეგარმა ბუნებამ ვერ შეძლო საერთო საქმისაგან განზე დგომა. მან, სიცხიანმა დატოვა საწოლი და შეჯიბრების ადგილზე გამოცხადდა. ამხანაგების, მწვრთნელების გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა. სულ ნახევარი საათის წინ დატოვეს ავადმყოფი კაცი ოთახში მარტოდმარტო, ახლა კი როსტომი ხალიჩაზეა. გაფაფრებული იბრძვის და სამართლიანად იმსახურებს სტუდენტთა თამაშების ჩემპიონის სახელს. ეს იყო ნამდვილად ვაუკაცური საქციელი, სადაც ახალგაზრდულმა ბუნებამ მოდრიკა ავადმყოფობა და გზა გაიკაფა ბრწყინვალე წარმატებისაკენ.

„უკვე მესამე დღეა, რაც გრძელდება ჩემპიონატი. მონაწილეთა დიდი ნაწილი მაყურებელთა როლშია მხოლოდ: მათ უკვე დაამთავრეს თავიანთი „მისია.“ ბრძოლას აგრძელებენ მხოლოდ ღირსეულები და მათ შორის როსტომ აბაშიძეც. პირველმა შეხვედრებმა როსტომისათვის უმტკივნეულოდ ჩაიარეს. მან შედარებით იოლად მოიგო ბრძოლა პოლონეთის, იზრაელისა და საფრანგეთის წარმომადგენლებთან. მისი პოზიციები გამაგრდა. როსტომს თავის წონაში გამარჯვების ერთ-ერთ მთავარ კანდიდატად თვლიდნენ, ვინაიდან მან სამი შეხვედრიდან ორი სუფთად მოიგო და მესამესაც ალბათ ასეთი შედეგით დაამთავრებდა, რომ ფრანგ მოჭიდავეს უფრო გაბედულად ებრძოლა. მაგრამ მეტოქე როსტომს ჯერ კიდევ ფესტივალიდან იცნობდა და მას, როგორც ჩანს, ქულებით დამარცხება ერჩივნა სუფთა წაგებას. ფრანგმა ბევრი ირბინა, ბევრჯერ გაუსხლტა როსტომის მკლავებს და ხალიჩის გარეთ გაქცევით გადაირჩინა თავი. ალბათ, სწორედ ამიტომ, შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მან რაღაც წაილულლუღა კიდეც ფრანგულად. როსტომმა არ იცოდა თავისი მოწინააღმდეგის ენა, მაგრამ ადვილად მიხვდა, რომ ფრანგი მას ბოდიშის სიტყვებით მიმართავდა.

პირველი სერიოზული ბრძოლა ბულგარელ სირაკოვთან მოუხდა. როსტომს მხოლოდ ერთი საჯარიმო ქულა ჰქონდა, სირაკოვს — 3. ფინალში გასვლის შანსებს ორივე მოჭიდავე ინარჩუნებდა, ოღონდ საბჭოთა ფალავანს ამისათვის ფრეც ყოფნიდა, ბულგარელს კი მხოლოდ სუფთა მოგება სურდა. ბრძოლა დაიწყო და სირაკოვი მაშინვე ჩოქბჯენში აღმოჩნდა, მაგრამ ბულგარელმა უკანასკნელ მომენტში კონტრილეთით ჯერ თავი დაიღწია საშიშ მდგომარეობას და მერე როსტომი ხიდზე შეაყენა. წამის რაღაც მეათედში გაუგონარი ამბავი მოხდა. აბაშიძემ მძლავრად აიქნია ტანი, რასაც სირაკოვის ხალტო მოყვა და ახლა ბულგარელი აღმოჩნდა კრიტიკულ მდგომარეობაში. ეს ყველაფერი ისე სწრაფად, ისე მოულოდნელად და სუფთად შესრულდა, რომ მაყურებელი ჯერ დაიბნა, შემდეგ კი აღტაცებული ყიყინით შეხვდა ამ ორი გოლიათის „კოტრიალს“. სირაკოვმა ხიდზე ნ წამზე ნაკლები დრო დაჰყო, ამიტომ ილეთი ქულად არ გაფორმდა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ. ბულგარელმა დაკარგა შემდგომი ბრძოლის უფლება, ხოლო აბაშიძე ერთი ნახევრით მიუახლოვდა სანუკვარ ოქროს მედალს.

ფინალის ორი სხვა მონაწილე — უნგრელი გურიჩი და შვედი იანსონი ერთმანეთს ადრე შეხვდნენ, ამიტომ გადამწყვეტ ეტაპზე მათ თითო ბრძოლა უნდა ჩაეტარებინათ — ორივეს როსტომ აბაშიძესთან. იანსონთან გამარჯვების შემდეგ გურიჩი მაყურებელთა მთავარ კუმირად იქცა და საჭიდაო დარბაზში მისი ყოველი გამოჩენა დაუფარავ აღტაცებას იწვევდა. გურიჩი გრძნობდა თანამემამულეთა მხარდაჭერას და თავს შედარებით მხნედ გრძნობდა. ასე იყო როსტომთან შეხვედრის წინაც. იგი მსუბუქი ნახტომით შემოიჭრა ხალიჩაზე, გაუღიმა „ჩახმახშემართულ“ ფოტორეპორტიორებს და ხელგაშლილი წამოვიდა როსტომისაკენ. ამ საპასუხისმგებლო შეხვედრის წინ საჭირო იყო აბაშიძის გამხნევებაც, ეს საკმაოდ რთული საქმე იკისრა ქართველ ტურისტთა იმ მცირერიცხოვანმა ჯგუფმა, რომელიც რეგულარულად ესწრებოდა მსოფლიო ჩემპიონატს, მაგრამ როსტომის მომხრეთა შეძახილები ზღვაში წვეთი იყო იმ ოვაციებთან შედარებით, რაც ხალხმა გურიჩს გაუმართა.

ერთი სიტყვით, გურიჩი საყოველთაო სიმპათიით სარკეებლობდა, და ასევე იყვნენ მისდამი გამსჭვალული მსაჯებიც. არბიტრმა მას თავისი საკუთარი ცხვირსახოციც კი დაუთმო, რასაც აღტაცების ახალი ტალღა მოჰყვა. მაგრამ ბრძოლის პირველმა წუთებმა მაყურებელთა ენთუზიაზმი დააცხრო. როსტომმა გურიჩს „ქალათბურთის ტემპი“ შეთავაზა და შეტევების კორიანტელი წამოიწყო. ამას გურიჩი არ მოელოდა და ყრუ დაცვაზე გადავიდა. ჩოქბჯენამდე უნგრელის საქმე კარგად იყო. ინიციატივა, მართალია, მთლიანად აბაშიძეს ეპყრა ხელთ, მაგრამ გამარჯვებისათვის საჭირო ქულები არ გაკეთებულა. ისიც უნდა ითქვას, რომ ორივე უნგრელს უფრო აწყობდა ვიდრე საბჭოთა მოჭიდავეს. [illegible] აბაშიძემ ბოლოსდაბოლოს შეძლო თავისი „ტერიტორიული“ უპირატესობის რეალიზება და გურიჩს ორი ქულა წაართვა. ორი ქულა — აი რამ გადაწყვიტა შეხვედრის ბედი როსტომის სასარგებლოდ. შეიძლებოდა კიდევ ახალ გამწვავებაზე წასვლა, კიდევ ახალი ქულებისათვის ბრძოლა, მაგრამ როსტომს ესეც ხელს უწყობდა. რისკისათვის გურიჩს უნდა მიემართა, რომ როგორმე ეხსნა თავისი მდგომარეობა, იგი კი პასიურობდა. როდესაც არბიტრმა ხელი აბაშიძეს აუწია გამარჯვების ნიშნად, გაყუჩებულ დარბაზში მხოლოდ საბჭოთა ტურისტების აღფრთოვანებული ხმები და ტაში ისმოდა.

შეიქმნა მეტად ორიგინალური მდგომარეობა. მოიგებს როსტომი უკანასკნელ ბრძოლას იანსონთან — ჩემპიონია, ფრედ დაამთავრებს — ჩემპიონია, წააგებს — მაინც ჩემპიონია. ასეთ პირობებში შვედიც და საბჭოთა მოჭიდავეც აზარტის გარეშე იბრძოდნენ და მსაჯებმა შეხვედრა ფრედ აღნიშნეს.

ჩემპიონის ოქროს მედალი ქვემძიმე წონაში როსტომ აბაშიძეს გადაეცა. თბილად და ლაკონურად აღნიშნა ერთ-ერთმა უნგრულმა გაზეთმა ახალგაზრდა საბჭოთა მოჭიდავის წარმატება: „ამ გამარჯვებით დაიწყო როსტომ აბაშიძის ბრწყინვალე სპორტული ბიოგრაფია. ჩვენ თქვენთან ერთად მოწმენი ვიქნებით მისი კიდევ მრავალი წარმატებისა, რომლებსაც როსტომ აბაშიძე მოუტანს თავის სამშობლოს. მას წინა აქვს მომავალი, მას წინა აქვს ლამაზი და საინტერესო გზა. ვუსურვოთ როსტომს წარმატება ამ გზაზე“.

ჩვენც მხურვალედ ვუერთდებით ამ აზრს.

ნ. ახვლედიანი

* * *

სურათზე: — როსტომ აბაშიძე (შუაში) გამარჯვების კვარცხლბეკზე.



კალენდარი

გათამაშების ცხრილი

IV ზონა

მდგომარეობა 10 აგვისტოსათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“ (ერევანი)	17	10	5	2	29:8	25
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	17	10	5	2	30:12	25
„უუბანი“ (კრასნოდარი)	17	10	4	3	33:17	24
სკკო (როსტოვი)	17	10	3	4	36:15	23
„ლოკომოტივი“ (ქუთაისი)	17	9	3	5	33:20	21
სკკო (თბილისი)	16	9	3	4	24:17	21
„თერგი“ (გროზნო)	16	7	4	5	20:23	18
„ნეფტიანიკი“ (ბაქო)	15	6	5	4	25:24	17
„მეტალურგი“ (სტალინგრადი)	16	7	2	7	17:27	16
„შახტიორი“ (კადიევკა)	17	4	6	7	20:24	14
„სპარტაკი“ (სტავროპოლი)	16	4	6	6	19:28	14
„შახტიორი“ (შახტი)	17	5	3	9	15:21	13
„შირაქი“ (ლენინაკანი)	16	4	2	10	14:21	10
„ლოკომოტივი“ (არტემოვსკი)	16	4	2	10	17:33	10
„ტემპი“ (მახაჩყალა)	17	3	2	12	13:30	8
„ტრუდი“ (ასტრახანი)	17	2	1	14	14:39	5

შენიშვნა: 7 აგვისტოს მატჩებიდან ცხრილში შეტანილია მხოლოდ თბილისის „ბურევესტნიკის“ და მახაჩყალის „ტემპის“ შეხვედრა.

თამაშის მოგება ყოველთვის შეიძლება

თბილისი. 7 აგვისტო. „ბურევესტნიკის“ სტადიონი.

„ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ტემპი“ (მახაჩყალა) — 4:2 (2:1).

„ტემპი“: ტიხომიროვი; პლეშჩუნოვი, სევოსტიანოვი, ტრიფურიანცი; ბურლაკოვი, მღებრიშვილი; იანიცკი, ჯაოშვილი, დუბოვიცკი, ცალიკოვი, აბდულაევი.

„ბურევესტნიკი“: რუხაძე; გაგუა, კუჭავა, წოწელია; მუმლაძე, გოგიჩაიშვილი; იაშვილი, ჩიჩუა, ურთქმელიძე, ზეინკლიშვილი, ავაქოვი.

მსაჯი ვ. ორიხი (კრასნოდარი).

სულ ახალი დაწყებული იყო თამაში, როცა იაშვილი გაიჭრა მარჯვენა ფრთაზე, მოულოდნელად მოტრიალებით დაარტყა კარში და სტუმრების მეკარემ ვერც მოასწრო რეაგირება, ბურთი გავიდა კარში — 1:0.

გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი და ცენტრიდან თამაშის დაწყება უკვე თბილისელებს მოუხდათ: იანიცკი კარგად გავიდა რამდენიმე მცველს შორის და დაარტყა მარცხენა დაბალ კუთხეში. რუხაძის ნახტომმა დაიგვიანა და ანგარიში გათანაბრდა — 1:1.

ასეთი მწვავე დასაწყისი სრულიადაც არ შეესაბამებოდა მატჩის შემდგომ მსვლელობას. თამაში ერთობ უფერულად და უინტერესოდ მიმდინარეობდა. მართალია, უპირატესობა თბილისელებისა იყო, მაგრამ მათი თავდამსხმელები თამაშობდნენ შეჯგუფულად, ზუსტი ურთიერთმოქმედების გარეშე. ზეინკლიშვილი, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა ინიციატივიანობითა და სიმწვავით, ამჯერად მეტად პასიური იყო. ასევე მოქმედებდნენ მისი პარტნიორებიც, გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ იაშვილი, რომელსაც ზოგჯერ ერთგვარი გამოცოცხლება შეჰქონდა თამაშში. სწორედ მის მიერ იქნა გატანილი მეორე გოლი საკმაოდ შორი მანძილიდან.

მეორე ტაიმის დაწყება „ბურევესტნიკს“ შეეძლო ისევე, როგორც პირველისა — გოლით, მაგრამ ურთქმელიძემ სულ ახლო მანძილიდან ააცილა კარს იაშვილის მიერ მოწოდებული ბურთი.

მე-12 წუთზე თბილისელთა მცველებმა შეცდომა დაუშვეს და დუბოვიცკიმ გაქვითა ანგარიში — 2:2.

დრო გადიოდა და შეხვედრა კვლავ ქაოტიურად, უსისტემოდ გრძელდებოდა. „ტემპს“ არ შეწევდა ძალა ხელთ აეღო ინიციატივა, ხოლო „ბურევესტნიკს“ არც ერთ ხაზში არ გამოუდიოდა თამაში. გუნდი მეტად საჭირო ქულის დაკარგვის აშკარა საშიშროების წინაშე აღმოჩნდა.

და აი აქ ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ მატჩის მოგება ყოველთვის შეიძლება. რამდენიმე წუთი უკლდა თამაშის დამთავრებას, როცა ჩიჩუამ კარგად მიიღო მარჯვენა ფლანგიდან მოწოდებული ბურთი და კარიდან გამოსული მეკარის გვერდით გაიტანა იგი — 3:2. ცოტა ხანს შემდეგ იმავე ჩიჩუამ ძლიერი დარტყმით მეოთხე ბურთი გაგზავნა კარში და „ბურევესტნიკმა“ მოიპოვა გამარჯვება ანგარიშით 4:2.

რ. ჟორიძე

ტემპერამენტი — ფეხბურთის დენთია

4 აგვისტოს ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოს“ მესამე (ამ ჩამოსვლაზე) მატჩი მოსკოვში. პირველი ორი შეხვედრა, როგორც ცნობილია, ქართველმა ფეხბურთელებმა წააგეს: ერთი — „სპარტაკთან“ ანგარიშით 2:5, ხოლო მეორე — „დინამოსთან“—2:3.

შეხვედრამ ცსკ მო-ს ფეხბურთელებთან სტუმრებს ამჯერადაც არ მოუტანა წარმატება. ხუთი ბურთი იქნა გატანილი დინამოელთა კარში და მხოლოდ ერთი, 11-მეტრიანი დარტყმიდან გავიდა არმიელთა კარში.

რაშია საქმე, რატომაა ამდენი წაგება და ისიც ასეთი დიდი ანგარიშით? ცხრილში აღნიშნულია სამხრეთელთა დიდი დამარცხებანი პირველ წრეშიც: მოსკოვის დინამოელებთან — 1:6, სპარტაკელებთან — 1:4, ტორპედოელებთან — 1:6. ისმება კითხვა: შეესაბამება თუ არა ეს დამარცხებები მოწინააღმდეგეთა ძალების ნამდვილ შეფარდებას აღნიშნულ თამაშებში? თუ სახეზეა რაღაც შეცდომა, რომელიც კოლექტივს ხელს უშლის თავის საუკეთესო თვისებათა გამოვლინებაში? მე ვფიქრობ, მიზეზი მეორეა. ჩემი აზრით თბილისელებმა შეცვალეს თამაშის თავიანთი ტრადიციული სტილი და მათი მრავალი წარუმატებლობაც ამის შედეგია.

ქართულ ფეხბურთს სახელოვანი წარსული აქვს. ჩვენი ქვეყნის საუკეთესო გუნდები არაერთხელ დაუმარცხებია თბილისის „დინამოს“ უაღრესად საპასუხისმგებლო მატჩებში.

მე საკუთარ თავზე გამომიცდია ქართული ფეხბურთის ძალა. ბევრჯერ მომიხდა შევჯახებოდი სამხრეთელთა თავდასხმის გრიგალისებურ შტურმს ბორის პაიჭაძის, გაიოზ ჯჯელავას, მიხეილ ბერძენიშვილისა და სხვა უმაღლესი კლასის დრიბლიორთა მეთაურობით. მათი მძლავრი ცეცხლით აღსავსე იერიშებს მხარს უჭერდა დაცვითი ხაზების მკვეთრი (ყოველგვარ უხეშობას მოკლებული!), შემტევი თამაში. შოთა შავგულიძე, გრიგოლ გაგუა და მათი პარტნიორები თამაშობდნენ დიდი სპორტული ჟინით. ისინი მოქმედებდნენ გაბედულად, გადაჭრით, ყოველგვარი შიშის გარეშე.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თბილისის „დინამოს“ ყოველთვის ახასიათებდა ორი თვისება: მაღალი ტექნიკა და ცეცხლიანი ტემპერამენტი. სწორედ ამით იყო, ჩემის აზრით, ძლიერი ის გუნდი, რომელიც გადიოდა სსრ კავშირის თასის ფინალში და იკავებდა ძეორე ადგილებს საკავშირო ჩემპიონატებში.

ცნობილია, რომ არ არსებობს კოლექტივები, რომლებსაც არ განეცადოთ დამარცხება და არ ჰქონოდეთ რეგრესის პერიოდი. ვერ აცდა ამას თბილისის „დინამოც“. ჯერ კიდევ შარშანდელი სეზონის დასაწყისიდან გუნდი „აირია“. ის, რაც უწინ გამონაკლისს წარმოადგენდა — თამაში „ცეცხლის გარეშე“, ახლა წესად იქცა. თბილისელები მატჩებს ატარებდნენ უღიმღამოდ, საბრძოლო სულისკვეთების გარეშე. ცეცხლოვანმა ტემპერამენტმა ადგილი დაუთმო კომბინაციათა აუჩქარებელ გათამაშებას მოკლე გადაცემათა სერიების დახმარებით. ნებით თუ უნებლიეთ გუნდი იცვლიდა სტილს, თუმცა ახალი მანერა მას სრულიადაც არ შეესაბამებოდა თავისი ხასიათით.

მიმდინარე სეზონში გუნდში შეცვლილ იქნა ხელმძღვანელობა. უფროს მწვრთნელად მოწვეულ იქნა სპორტის დამსახურებული ოსტატი ვასილი სოკოლოვი. იგი სწორ გზას დაადგა და შემადგენლობაში შეიყვანა მთელი რიგი ახალგაზრდა მოთამაშე. ძირითად მოთამაშეებად გახდნენ ბორის სიჭინავა, დავით ხუნდაძე, ვლადიმერ ბარქაია, შოთა იამანიძე, თენგიზ მელაშვილი, მიხეილ მესხი. ამ ნიჭიერ ახალგაზრდობას უკვე აქვს კარგი სპორტული ჩვევები, მაგრამ უაზრობა იქნებოდა გუნდისაგან მოგვეთხოვა სწრაფი ნახტომი წინ. კოლექტივის რეკონსტრუქცია მტკივნეული და ხანგრძლივი პროცესია. ეს ყველასათვის ცხადია. მაგრამ მე მგონია, რომ გუნდის გზა ძველი დიდების აღდგენისაკენ ნაკლებად ეკლიანი იქნებოდა, რომ კოლექტივი დაბრუნებოდა თავის ძველებურ სტილს.

მაგალითისათვის ავიღოთ მატჩი არმიელებთან. სტუმრები მასპინძლებს არაფრით არ ჩამორჩებოდნენ ტექნიკაში. მათ თავდასხმაში ჰყავდათ შესანიშნავი დრიბლიორები — იამანიძე, ბარქაია და, რასაკვირველია, მესხი. დაცვის ხაზს მეთაურობდა ატლეტური აგებულობის სიჭინავა. დასაწყისში ძნელიც იყო გამარჯვებულის გარკვევა. მაგრამ არმიელები თანდათან ძლევდნენ სამხრეთელებს. და ძირითადად ტემპერამენტის ხარჯზე! დიახ, დიახ, რაც არ უნდა პარადოქსალურად ეღერდეს ეს სიტყვები! გამარჯვება ფეხბურთში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩაფლულია მოწინააღმდეგის კარში. არმიელები ილტვოდნენ კარისაკენ უმოკლესი გზით და მთელი თავიანთი ძალებით. თბილისელები კი უახლოვდებოდნენ მოწინააღმდეგეთა საჯარიმო მოედანს ნელნელა და მანძილს მტკაველობით ეუფლებოდნენ. აი ბურთი აქვს იამანიძეს. მის წინ თავისუფალი მინდორია—20-25 მეტრი. აუჩქარებლად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა იგი წინ მოწინააღმდეგის თავისუფალ ტერიტორიაზე, აგორებდა წინ ბურთს, დაეძებდა თავისუფალ პარტნიორს. მას სურს ითამაშოს ზუსტად და რაც შეიძლება მახვილგონივრულად. ეს საქებია, მაგრამ მისი განხორციელების საშუალება კი დასაძრახი: იგი მოკლებულია სისწრაფეს, მოკლებულია ტემპერამენტს. სანამ დაძლეულ იქნა ეს 25 მეტრი, არმიელებმა მოასწრეს მჭიდროდ დაეკეტათ კარის მისასვლელები.

წუთის შემდეგ ბურთი აქვს მელაშვილს და იგიც იმავე მანევრს იმეორებს. ჩემმა მეზობელმა ტრიბუნაზე ვერ მოითმინა და დაიძახა:

— ჩქარა, მელაშვილო, ჩქარა!

სამ მატჩში თბილისელთა თავდამსხმელებმა ხუთჯერ აიღეს დედაქალაქის უძლიერესი გუნდების კარი. მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა თუნდაც ერთი ქულის მისაღებად. სამხრეთელთა დაცვითმა ხაზებმა ამავე სამ მატჩში 13 ბურთი გაუშვეს. ბევრია! ბევრია იმ გუნდისთვისაც კი, რომელიც გარდაქმნის პერიოდს განიცდის.

და საქმე აქ შეუთამაშებლობაში ან არასათანადო ფიზიკურ მომზადებაში როდია. არა! ქართველ ფეხბურთელებს შეუძლიათ სწრაფი რბენა და ტაქტიკურადაც სწორედ არიან განლაგებულნი მინდორზე, მაგრამ მცველები, ისევე როგორც თავდამსხმელები, იგივე „აკადემიური“ განხრით თამაშობენ. მხოლოდ მისასალმებელია მოთამაშეთა მისწრაფება აართვან ბურთი მოწინააღმდეგეს და არა უმიზნოდ მოიგერიონ იგი რაც შეიძლება შორს. მაგრამ ასეთი მისწრაფება მცველს არ უნდა უკარგავდეს მკვეთრი და გადაჭრილი მოქმედების უნარს.

უკანასკნელ მატჩში (ისევე, როგორც წინა ორ შეხვედრაში) თბილისელთა მცველები არმიელებს უმეტეს შემთხვევაში საშუალებას აძლევდნენ მშვიდად მიეღოთ ბურთი, არ უტევდნენ მათ ბურთის მიღების მომენტში.

„ვაი თუ მომატყუოს“, — თითქოს ამისი ეშინოდა მცველს.

ასეთი მერყეობა პასიურობის ღვიძლი დაა, რომელიც როგორც ცნობილია, კეთილად არ მთავრდება. არმიელები ადვილად იწყებდნენ შეტევას. ისინი საფუძვლიანად ფლობდნენ მინდვრის შუაგულს და დიდ შრომას არა ჰკარგავდნენ ბურთის მიღებისათვის ბრძოლაში.

მე შემთხვევით არ გამიხსენებია თბილისელ ოსტატებს ალეგორიული პლეადა.

მე მინდა სწორად გამიგონ. ლაპარაკი იმის შესახებ კი არაა, რომ ეი უწინ რა კარგად თამაშობდნენ და ახლა კი ცუდად თამაშობენ, სრულიადაც არა. ისევე, როგორც ყველგან, საქართველოში ფეხბურთი პროგრესის გზაზე დგას. ლაპარაკია მხოლოდ იმის შესახებ, რომ არაა საჭირო გაცივდეს გუნდის ტემპერამენტი მისთვის უჩვეულო სტილით. სასურველია, რომ თბილისის გუნდის ახალგაზრდული შემადგენლობა კვლავაც ბრწყინავდეს თავისი თავდასხმის ქარიშხლისებური იერიშით, თავისი მცველების მკვეთრი და გაბედული მოქმედებით.

შეიძლება თქვან, რომ მარტო ტემპერამენტით შორს ვერ წახვალ, რომ საჭიროა ტექნიკა. მართალია, ტექნიკის სრულყოფა საჭიროა ყოველმხრივ, მაგრამ ამასთან არ უნდა დავივიწყოთ რომ, ტემპერამენტი ფეხბურთის დენთია. და ვერავითარი ტექნიკა „ვერ გაისვრის“ თუ ეს დენთი დაინამა.

ან. სტაროსტინი,
სპორტის დამსახურებული ოსტატი.

„სოვეტსკი სპორტი“, № 184, 6 აგვისტო.

I ზონა

შედგა მორიგი ტურის მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში.

რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალურგი“ და ქუთაისის „დინამო“. დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამარჯვება წილად ხვდა „დინამოს“ — 3:2.

უშედეგოდ — 0:0 დამთავრდა მატჩი გორში ადგილობრივ „განთიადსა“ და ქობულეთის „კოლმეურნეს“ შორის.

თელავის „სპარტაკი“ არ გამოცხადდა მატჩში თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის საამქროს გუნდთან, რის გამოც მას დამარცხება ჩაეთვალა.

* * *

II ზონა

საინტერესო გამოდგა შეხვედრა ფოთში ადგილობრივ გუნდსა და ბათუმის „დინამოს“ შორის. იგი დამთავრდა ბათუმელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

ზონის ლიდერი — ქუთაისის „ტორპედო“ თავის მინდორზე შეხვდა მახარაძის „კოლმეურნეს“. მწვავე ბრძოლის შემდეგ ლიდერმა მოიპოვა გამარჯვება (3:2) და კიდევ უფრო განიმტკიცა თავისი მდგომარეობა.

კარგად ჩაატარა შეხვედრა სამტრედიის „ლოკომოტივთან“ ზუგდიდის „ოდიშმა“ თავის მინდორზე და მიაღწია გამარჯვებას ანგარიშით 3:1.

ჭიათურის „მაღაროელი“ თბილისში შეხვდა 26 კომ. სახ. რაიონის გუნდს. გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა — 3:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 აგვისტოსათვის

ძირითადი შემადგენლობანი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი“	14	9	4	1	35:15	22
ცსკ მო	15	8	4	3	31:16	20
„ზენიტი“	13	6	5	2	26:14	17
„ლოკომოტივი“	13	6	4	3	23:14	16
„დინამო“ მ.	14	6	3	5	26:19	15
„ტორპედო“	14	4	7	3	33:28	15
„შახტიორი“	14	6	3	5	14:17	15
„დინამო“ თბ.	15	5	2	8	26:44	12
„დინამო“ კ.	13	2	7	4	21:21	11
„მოლდოვა“	13	2	5	6	15:27	9
„კრ. სოვეტოვი“	13	1	6	6	7:18	8
„ადმირალტეეც.“	15	3	0	12	17:41	6

* * *

⊙ **მ ო ს კ ო ვ ი. 7 აგვისტო.** აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „დინამო“ (მოსკოვი)-„დინამო“ (კიევი).

თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

* * *

⊙ **ლ ე ნ ი ნ გ რ ა დ ი. 8 აგვისტო.** ს. მ. კიროვის სახელობის სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი).

მატჩი მოიგეს რკინიგზელებმა — 3:0.

* * *

⊙ **მ ო ს კ ო ვ ი. 9 აგვისტო.** თავისი მორიგი, მეოთხე მატჩი ჩაატარა მოსკოვში თბილისის „დინამომ“. თბილისელთა წინააღმდეგ ამჯერად თამაშობდა მოსკოვის „ტორპედო“.

მატჩი დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 3:1.

ერევანი. 8 აგვისტო. (ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორ.). დიდი ინტერესი გამოიწვია მატჩმა საკავშირო პირველობაზე ფეხბურთში „ბ“ კლასის IV ზონის გუნდებს.— ერევნის „სპარტაკსა“ და ქუთაისის „ლოკომოტივს“ შორის.

თამაშმა მეტად დაძაბულ და მწვავე ბრძოლაში ჩაიარა. ანგარიში პირველ ტაიმში გახსნეს მასპინძლებმა, მაგრამ „ლოკომოტივმა“ სულ მალე გაქვითა გოლი — 1:1.

დარჩენილ დროში ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა, მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ტურნირი პორტოროჟში

4 აგვისტოს პორტოროჟის სახალხო სახლში საზეიმოდ გაიხსნა საზონათშორისო საჭადრაკო ტურნირი. შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა იუგოსლავიის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტი ბ. ევრომოვიჩი. საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ჩეხმა ი. შაიტარმა ტურნირი გახსნილად გამოაცხადა, ამასთან აღნიშნა, რომ ამერიკელი ს. რეშევსკის ნაცვლად ტურნირში ითამაშებს ამერიკის შეერთებული შტატების პირველობის მესამე პრიზიორი ახალგაზრდა ოსტატი ჯ. შერვინი. ტურნირის მთავარმა მსაჯმა, ინგლისელმა ჰ. გოლომბეკმა თხოვა მონაწილეებს დაეწყოთ კენჭისყრა, რომელმაც ასეთი შედეგი მოგვცა:

1. გ. როსეტო (არგენტინა), 2. ბ. ბენკო (ამერიკის შეერთებული შტატები), 3. რ. ფიშერი (ამერიკის შეერთებული შტატები), 4. დ. ბრონშტეინი (საბჭოთა კავშირი), 5. ი. ავერბახი (საბჭოთა კავშირი), 6. ბ. ლარსენი (დანია), 7. რ. სანგინეტი (არგენტინა), 8. ო. პანო (არგენტინა), 9. ფ. ოლაფსონი (ისლანდია), 10. მ. ტალი (საბჭოთა კავშირი), 11. ტ. პეტროსიანი (საბჭოთა კავშირი), 12. ჯ. შერვინი (ამერიკის შეერთებული შტატები), 13. ბ. დეგრეიფი (კოლუმბია), 14. ლ. საბო (უნგრეთი), 15. ლ. პახმანი (ჩეხოსლოვაკია), 16. ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია), 17. მ. ფილიპი (ჩეხოსლოვაკია), 18. რ. კორდოსო (ფილიპინები), 19. ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია), 20. ო. ნეიკირხი (ბულგარეთი), 21. გ. ფიუშტერი (კანადა).

შეიქმნა საკონფლიქტო სპეციალური კომისია გროსმაისტერების ი. ავერბახის, ს. გლიგორიჩის, საერთაშორისო ოსტატების ო. ნეიკირხის, გ. როსეტის და ს. ნედელკოვიჩის შემადგენლობით.

I ტურში, რომელიც 5 აგვისტოს შედგა, ყურადღების ცენტრში იყო ბრონშტეინისა და გლიგორიჩის შეხვედრა. ძველ ინდურ დაცვაში იუგოსლავიის ჩემპიონმა ახალი გაგრძელება გამოიყენა, რითაც ღრმად ჩააფიქრა თავისი მეტოქე. ბრონშტეინი კარგად გაერკვა პოზიციაში და უკეთესი თამაში მიიღო, მაგრამ პარტიის დასასრულს ცაიტნოტში მოხვდა და დაკარგა უპირატესობა. 43-ე სვლაზე შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

ენერგიულად თამაშობდა ტალი დეგრეიფის წინააღმდეგ. მან მალე შექმნა გართულებები, სადაც დაიბნა კოლუმბიელი ოსტატი. უკვე 29- სვლაზე დეგრეიფმა თავი დამარცხებულად ცნო. თითქმის უბრძოლველად დაზავდნენ ფიშერი-ნეიკირხი, პანო-პახმანი და ლარსენ-ფილიპი. ფიუშტერი დამარცხდა ბენკოსთან. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

II ტურში საინტერესო გამოდგა საბო-ტალის პარტია. პოზიციის გამარტივების შემდეგ უნგრელმა მოჭადრაკემ ტალს ყაიმი შესთავაზა, უკანასკნელმა იგი არ მიიღო. საბოს პოზიციის სისუსტის გამოყენებით საბჭოთა ჩემპიონმა მეორე გამარჯვება მოიპოვა.

ფიშერმა კარგად ისარგებლა ფიუშტერის უხეში შეცდომით და მოიგო პარტია. პეტროსიანი და ბრონშტეინი სასტიკ წინააღმდეგობას წაწყდნენ დეგრეიფთან და ნეიკირხთან და საბოლოოდ ყაიმით დაკმაყოფილდნენ. ყაიმით დამთავრდა აგრეთვე გლიგორიჩ-ავერბახის შეხვედრა. სხვა პარტიები არ დამთავრებულა.

გადადებული პარტიების დამთავრებისას მატანოვიჩმა მძიმე პოზიციებში ყაიმს მიაღწია პანოსა და სანგინეტოსთან, საბომ არ მოისურვა თამაშის გაგრძელება ოლაფსონთან და დანებდა. ავერბახს კორდოსოსთან უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ ცუდი თამაშით დაჰკარგა იგი და ყაიმს შეურიგდა. პეტროსიანმა ზუსტი მანევრებით დაამარცხა შერვინი. ყაიმით დამთავრდა როსეტი-ბენკოს, კორდოსო-ლარსენისა და სანგინეტი-ფილიპის პარტიები.

ორი ტურის შემდეგ წინ არიან მ. ტალი — 2 ქულა, ტ. პეტროსიანს, რ. ფიშერსა და ფ. ოლაფსონს აქვთ 1,5 ქულა თვითეულს.

რედაქტორი ი. უგულავა.

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დალმართი № 12. დეპეშე ბისათვის თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03762